ქალი, როგორც საკუთრება: საკითხის პრობლემატიზაცია მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ ფემინისტურ ნააზრევში

სალომე ქინქლაძე

აბსტრაქტი

აღნიშნული სტატია გვთავაზობს მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ ფემინისტურ ნარატივში ქალის, როგორც საკუთრების იდეის მიმოხილვას. ტექსტში გაანალიზებულია ორი მნიშვნელოვანი ფემინისტი აქტივისტის, ლიდია მეგრელიძისა და კატო მიქელაძის პერსპექტივები იმის თაობაზე, თუ რას გულისხმობდა მათ ეპოქაში ქალის საკუთრებად აღქმა, რომელ ისტორიულ პერიოდს უკავშირდება აღნიშნული პრობლემა და რატომ არის ის ქალთა ჩაგვრის სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შრე. სტატიაში მიმოხილული მასალა ეყრდნობა ლიდია მეგრელიძისა და კატო მიქელაძის არქივებს. მეგრელიძის თვალსაზრისები გვხვდება გაზეთ ,,ახალ კვალში'' დაბეჭდილ მის წერილებში. ასევე აღნიშნულ თემაზე აქცენტები მან ,,მწერალთა სახლში'' გამოთქმულ სიტყვაში გააჟღერა. კატო მიქელაძის ხედვა მიმობნეულია მთელს თავის პუბლიცისტიკაში, რომელიც იბეჭდებოდა მისივე გაზეთში ,,ხმა ქართველი ქალისა''.

ისტორიული მიმოხილვის კვალდაკვალ, მეგრელიძე და მიქელაძე ქალთა ჩაგვრის საკუთრების ჭრილში ახსნას ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიების საშუალებით ახდენენ, როგორიცაა სოციალური კლასი და ქალის სექსუალობა. მეგრელიძის თანახმად, მუშათა ოჯახში ქალი საკუთრებად არ განიხილებოდა, რამდენადაც აქ კერძო საკუთრების ფლობიდან აქცენტი მეუღლეებს შორის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე იყო გადატანილი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ბატონყმობის გაუქმებასთან ერთად, კერძო საკუთრების ფლობამ მონოგამიური ოჯახი მეტად იერარქიული გახადა და ქალი მატერიალური სარგებლის მიღების ერთ-ერთ წყაროდ გადააქცია. კატო მიქელაძემ ქალის საკუთრებად აღქმის პრობლემა სექსუალობასთან დააკავშირა და ქალის გაუპატიურების (მათ შორის - ქმრის მიერ), მოტაცების, ტრეფიკინგის საკითხების წინ წამოწევით მან ეს ცნება გააფართოვა. ლიდია მეგრელიძისა და კატო მიქელაძის მოსაზრებები მნიშვნელოვანია, რამდენადაც, ისინი დასაბუთებულად და გამბედავად საუბრობენ საზოგადოებაში არსებულ იმ მავნე პრაქტიკებზე, რომლებიც ხშირად ტაბუდადებული და მიჩქმალული იყო ამავე პრაქტიკების კვლავწარმოების სასარგებლოდ და ითვალისსწინებენ ყველაზე მთავარს, ადგილობრივ კონტექსტს, რაც ქალთა ისტორიის აღდგენის წინაპირობას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: საკუთრება, მონოგამიური ოჯახი, ქალის შრომა, სოციალური კლასი, მუშათა კლასი, ბატონყმობა, პატრიარქატი, გასაგნება, სექსუალობა, გაუპატიურება, ტრეფიკინგი, მოტაცება.

> გლეხი, ეს გუშინდელი ყმა, დღეს გახდა ოჯახის უფროსი, მამაკაცი დღეს შეიქმნა კერძო მესაკუთრე და როდესაც გლეხმა საკუთარი ეზო შემოფარგლა, მან მაშინვე აღიარა: ამ ეზოში რაც არის, ყველაფერი ჩემია და მე ვარ ამ ქოხის პატრონიო და აი, ამ კერძო საკუთრებაში მოყვა ქალიც.
> (მეგრელიძე, უთარიღო)

,,ბავშვობაში ქალი მამას უნდა დაექვემდებაროს, ახალგაზრდობაში თავის მეუღლეს, ხოლო როცა მისი მბრძანებელი გარდაიცვლება, თავის ვაჟიშვილს; ქალი არასდროს არ უნდა იყოს დამოუკიდებელი''. ამ სიტყვებს მანუს კანონების კრებულში ვხვდებით და ის კარგად გამოხატავს იმ შეზღუდვებს, რომელსაც ქალის თავისუფლებას უწესებდნენ მისი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, იქნებოდა იგი დაოჯახებული, თუ - არა.
ქალის საკუთრებად მიჩნევის პრობლემატიზაცია ფემინისტურ თეორიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ლუსი ირიგარის მიხედვით, პატრიარქალურ საზოგადოებებში არსებული გაცვლითი სისტემები და ყოველივე ის, რაც პროდუქციას უკავშირდება, მამაკაცთა საქმედ, მათი მოქმედების სფეროდ მიიჩნევა. ხოლო ამ სისტემაში ქალებს ერთგვარი საქონლის როლი აქვთ მინიჭებული და ისინი მუდამ ერთი კაცის ხელიდან მეორეში გადადიან (ირიგარი 1985, 171). იმ ისტორიაში კი, რომელშიც მამაკაცთა გამოცდილებები გადაფარავს ქალთა გამოცდილებებს, ქალის ხმის აღდგენა ფემინისტების დაუღალავ და ხანგრძლივ ბრძოლას უკავშირდება. ისტორიის გადააზრების პროცესში გაანალიზდა ქალთა ჩაგვრის სხვადასხვა შრე, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ქალის მამაკაცის საკუთრებად ქცევა. რომელმა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა ის, რომ ქალი ხან მამის, ხან ქმრის საკუთრებად ითვლებოდა? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუკი ის არ მიესადაგება კონკრეტულ კონტექსტს, ისტორიულ ეპოქას, ადგილს, სადაც ჩაგვრის ფორმები იღებდა სათავეს, ასევე არ იქნება გათვალისწინებული, რომ ქალთა ჩაგვრას სხვადასხვანაირად განიცდიან ქალები მათი კლასის, ეთნიკურობის, რასის და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

სტატია ეყრდნობა კონკრეტულ კონტექსტს, კერძოდ, გავაანალიზებ იმას, თუ როგორ ხდებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისში ქალის, როგორც საკუთრების იდეის პრობლემატიზაცია ქართველი ფემინისტების მიერ და როგორ შემოდიოდა მათ ანალიზში სწორედ ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიები, როგორიც არის გენდერი და კლასი. რა კონტექსტი არსებობდა იმდროინდელ ფემინისტურ ნააზრევში და რითი უკავშირდებოდა ის საერთაშორისო ფემინისტურ პერსპექტივებს. ამ მიზნის მისაღწევად, მიმოვიხილავ ორი მნიშვნელოვანი ფემინისტის, ლიდია მეგრელიძისა და კატო მიქელაძის ნააზრევს, რომელშიც ასახულია, თუ როგორ ხსნიდნენ ისინი ქალების ჩაგრულ მდგომარეობას და აანალიზებენ ქალის საკუთრებად აღქმის ჭრილში.

1. ლოკალური ფემინისტური ნააზრევი და მისი კავშირი საერთაშორისო ფემინისტურ იდეებთან

საქართველოს კონტექსტში ფემინისტური ნააზრევი მნიშვნელოვნად ვითარდებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი აქტივისტები ეცნობიან სხვადასხვა იდეას ქალთა ემანსიპაციის შესახებ (გაფრინდაშვილი 2014, 43). საქართველოში მცხოვრები ქალები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქალთა უფლებების დაცვის ბრძოლაში, განსაკუთრებულ ყურადღებას ქალთა განათლების უფლებას უთმობდნენ. ამის კარგი მაგალითია ბარბარე ჯორჯაძე და ეკატერინე გაბაშვილი, რომელთაც აღელვებდათ ის ფაქტი, რომ ქალებს არ ჰქონდათ სათანადო ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ხოლო მამაკაცები კი, მათთან შედარებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ (გაფრინდაშვილი 2014, 24).

ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში ფემინისტური ნააზრევი მნიშვნელოვნად იყო გადაჯაჭვული ქალთა აქტივიზმთან. როგორც ნინო ტყეშელაშვილის საარქივო მასალიდან ირკვევა, საქართველოში ქალები საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით (იყენებენ რა 1905 წელს კლუბების შექმნის უფლებას), იწყებენ შეკრებას და მსჯელობას ისეთ საკითხზე, როგორიცაა მემკვიდრეობის ფლობაზე ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლება, ქალთა პოლიტიკური გააქტიურება, რუსეთის რევოლუციაში ქალების ჩართულობის მნიშვნელობა, ქალების პროსტიტუციაში ჩართვის სოციალურად განპირობებული მიზეზები (ტყეშელაშვილი, 1922). მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის, როდესაც საქართველოში ფემინისტური იდეები თანდათან ვითარდება, სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების პარალელურად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც ამ პერიოდში წამოიწია წინ, იყო ქალთა ყოფა ოჯახში, მათი დაქვემდებარებული მდგომარეობა, მათ შორის კი - ეკონომიკური დამოკიდებულება ქმარზე (ტყეშელაშვილი, 1922). სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობაში ერთვებიან ქალები კლუბების საშუალებით და იყენებენ საჯარო სივრცეებს აზრის გამოხატვის მიზნით.

ქალთა კლუბების გარდა, 1917 წელს შეიქმნა პლატფორმა, რომელმაც ქალებს საშუალება მისცა, რომ საჯაროდ ეპასუხათ მათ წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და გამოწვევებისთვის. იმ დროის ფემინისტურმა ნააზრევმა მნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰპოვა 1917 წლის თებერვალში კატო მიქელაძის რედაქტორობით გამოცემულ პირველ ფემინისტურ გაზეთში ,,ხმა ქართველი ქალისა''. გაზეთი ქალთა უუფლებო მდგომარეობაზე საუბრის პლატფორმად იქცა, რამაც მრავალი ხმაწართმეული ქალის პერსპექტივასა და პირად გამოცდილებას მოჰფინა ნათელი. გაზეთში ,,ხმა ქართველი ქალისა'' ქალები გამოდიან მოთხოვნით, რომ მათ მიენიჭოთ თანაბარი უფლებები, როგორიცაა თანაბარი ხელფასი ქალისა და კაცისათვის, კაცების პრივილეგიების გაუქმება (მელაშვილი 2013, 21). ქალები წერდნენ, რომ მათ დიდი იმედი ჰქონდათ რუსეთის რევოლუციისა, რომელიც, მათი აზრით, ქალებისთვის ემანსიპატორული ხასიათისა იქნებოდა. ამის მოლოდინში კი ისინი განაგრძობდნენ ყველა სოციალური ფენის, პოლიტიკური მსოფლმხედველობის ქალის შემოკრებას საერთო პრობლემის გარშემო (მარუაშვილი, 1917).

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული ფემინისტური ნააზრევი მჭიდროდ უკავშირდება და ამოდის ლოკალური სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტიდან, რომელშიც უწევდათ ქალებს ცხოვრება (მელაშვილი 2013, 17). ამაში კარგად ვრწმუნდებით, როდესაც ვკითხულობთ კატო მიქელაძის, ნინო ტყეშელაშვილის, ლიდია მეგრელიძისა თუ სხვა ფემინისტი ავტორების ტექსტებს, რომლებშიც სოციალური პრაქტიკები, ქალთა ლოკალური გამოცდილებები კი არ არის მორგებული ზოგად ფემინისტურ იდეებზე, არამედ - ფემინისტური თეორიები და მიდგომები დიდი სიფრთხილითა და განსჯით არის დაკავშირებული იმ დროინდელ საზოგადოებაში ქალების მდგომარეობასთან, მათ პრობლემებთან და საჭიროებებთან.

ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული დღის წესრიგიდან კარგად ჩანს ის საერთო პრობლემები, რომლებიც აერთიანებდათ საქართველოში მცხოვრებ ქალებს სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქალებთან, ასევე ის გავლენები, რომელიც დასავლურმა ფემინისტურმა მიდგომებმა იქონია აღნიშნული ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტების ხედვაზე. 1851 წელს ჰარიეტ ტეილორმა დაწერა ნაშრომი სახელწოდებით ,,ქალთა გათავისუფლება''. აღნიშნული ნაშრომი მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის მიჯნაზე ითარგმნა ქართულ ენაზე, რითაც შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ტეილორის ნააზრევს იცნობდნენ ის ქალები, რომლებიც შემდგომში აქტიურად იმაღლებდნენ ხმას ქალთა ჩაგვრის პრაქტიკების წინააღმდეგ. ტეილორი თავის ნაშრომში საუბრობს საზოგადოების ორ ჯგუფად დაყოფაზე, რომელიც დაფუძნებულია ერთის მეორეზე ბატონობაზე და რაც, მისი აზრით, დემორალიზაციას უწყობს ხელს (ტეილორი 1868, 6). მაგალითად, ის აკრიტიკებს ინგლისში ქალისათვის კაცი მსაჯულების დანიშვნას მაშინ, როდესაც კაცებს უფლება ჰქონდათ, რომ ჰყოლოდათ კაცი მსაჯულები. იგი თვლიდა, რომ ეს ერთი ჯგუფის პრივილეგიების ხარჯზე მეორის უფლებების შეზღუდვას წარმოადგენდა. გაზეთში ,,ხმა ქართველი ქალისა'' კატო მიქელაძეც ამახვილებს ყურადღებას მსგავს საკითხზე და უკმაყოფილებას გამოთქვამს იმაზე, რომ საქართველოში ნაფიცი მსაჯულები ქალები არ იყვნენ. იგი აღნიშნავს, რომ ქალთა განსასჯელად აუცილებელი იყო საკითხის მათი პერსპექტივიდან ხედვა, რასაც მამაკაცები, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვერ შეძლებდნენ (მიქელაძე, 1917).

გარდა ცალკეული ნაშრომების შესაძლო გავლენებისა, საერთო აქცენტები ისმებოდა ქართული ფემინისტური მოძრაობისა და პირველი ტალღის ფემინისტური მოძრაობების მიერ. პირველი ტალღის ფემინიზმში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქალთა ხმის მიცემის უფლებას. სწორედ ამ პერიოდის პარალელურად საქართველოში ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი ქალები მუდმივად უსვამდნენ ხაზს ქალთა პოლიტიკური ჩართულობის აუცილებლობას. ამის კარგი მაგალითია ,,ხმა ქართველი ქალისა''. კატო მიქელაძემ მრავალი წერილი მიუძღვნა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის საჭიროებას, რაც მნიშვნელოვანი იყო ქალებისათვის, რამდენადაც მათ ჰქონოდათ უკეთესი ცოდნა იმისა, რომ მოეთხოვათ ის, რაც მათ უფლებას წარმოადგენდა (მელაშვილი 2013, 17).

ამდენად, ლოკალურად და გლობალურად მიმდინარე პროცესები ერთმანეთის გამოხმაურებასაც ჰგავდა. იმაზე, რომ ქალთა მოძრაობების მიერ გაჟღერებული მოთხოვნები

ქართულ კონტექსტშიც აქტუალური იყო, გავლენა იქონია ქალთა ადგილობრივმა საჭიროებებმა, რომელსაც კარგად აანალიზებდნენ საქართველოში მცხოვრები ფემინისტები.

2. ქალის, როგორც საკუთრების იდეის კრიტიკა ლიდია მეგრელიძისა და კატო მიქელაძის ფემინისტურ ნააზრევში

ქალი, როგორც საკუთრება: ლიდია მეგრელიძის პერსპექტივიდან

მე-20 საუკუნის დასაწყისში ფემინისტური იდეებით საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის ლიდია მეგრელიძე. როგორც თავის ავტობიოგრაფიაში წერს, იგი ღარიბ ოჯახში გაიზარდა, დედაც ადრეულ ასაკში დაეღუპა, რაც საფუძველი გახდა იმისა, რომ ახალგაზრდობიდანვე მრავალ პრობლემაზე ფიქრი დაეწყო (მეგრელიძე, 1956). მიუხედავად იმისა, რომ დღეს მას ბევრი საბავშვო პოეტად იცნობს, მისი საარქივო მასალიდან ჩანს, თუ რამხელა ინტერესს იწვევდა მასში იმდროინდელი სოციალური პრობლემატიკა, ქალთა ჩაგვრის საკითხები, რის შესახებ იგი მნიშვნელოვან ფემინისტურ ნააზრევს ქმნიდა (მეგრელიძე, 1956). ლიდია მეგრელიძის ნაშრომებში ასახულია მისი დამოკიდებულება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის მნიშვნელობა, მუშა ქალების პრობლემები, ქალის როლის გაუფასურება ოჯახში. იგი არგუმენტირებულად და დასაბუთებულად ხსნიდა, თუ რატომ მიიჩნევდა პრობლემად უთანასწორობის საკითხს და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქალთა ემანსიპაციას.

ლიდია მეგრელიძემ თავის ტექსტებში მნიშვნელოვანი აქცენტები დასვა ქალის, როგორც საკუთრების გაგების საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ თემაზე იგი საუბრობს როგორც გაზეთ ,,ახალ კვალში'' გამოქვეყნებული წერილებში, ისე - მწერალთა სახლში წარმოთქმულ სიტყვაში (მეგრელიძე, უთარიღო). წერილში ,,ქართველ ქალთა მდგომარეობა საქართველოში'', რომელიც გაზეთში 1915 წელს გამოქვეყნდა ის ქალის, როგორც საკუთრების შესახებ, მნიშვნელოვან აქცენტებს სვამს. მეგრელიძე იმ დროის საქართველოში მცხოვრები ქალების ორ ჯგუფზე საუბრობს. მათ თავად ასე უწოდებს: ,,სოფლის წვრილ მესაკუთრეთა მონები და ქალაქის უმწეო მუშა ქალები'' (მეგრელიძე, 1915). მეგრელიძე თავდაპირველად მუშა ქალებსა და მათ ყოფაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ ოჯახში ქალების დაუღალავი შრომა გარშემომყოფების მიერ დღემდე არ არის დაფასებული და უმნიშვნელოდ მიიჩნევა. მეგრელიძის მიხედვით, ქალის მიმართ მსგავს დამოკიდებულებას დიდი ხნის ისტორია აქვს და ამ ისტორიაში, საუკუნეების მანძილზე, მამაკაცები ქალსაც და მათ მიერ შექმნილ პროდუქციას თავიანთ საკუთრებად მიიჩნევდნენ (მეგრელიძე, 1915).

ქალის საკუთრებად ქცევის პრობლემას მეგრელიძე ოჯახში ქალის მნიშვნელობის გაგების ჭრილში ხსნის. იგი წვრილი მესაკუთრეების ოჯახში ქალის უუფლებობაზე საუბრობს. ქალის ქორწინებას არა მის პირად არჩევანს, არამედ - მისი ოჯახის წევრი მამაკაცების გადაწყვეტილებად განიხილავს. როგორც აღნიშნავს ,,გათხოვების'' პრაქტიკა იმაზე მიუთითებს, რომ წვრილი მესაკუთრეები ქალს პირად საკუთრებად, ნივთად აღიქვამენ,

რომელიც ხელიდან ხელში, ერთი კაციდან მეორეს გადაეცემა. ქალი დაქორწინებამდე ოჯახში ,,დროებით სტუმარს, წამსვლელს'' ჰგავს. ხოლო ოჯახის წევრი მამაკაცები, მამა და ძმა კი მუდამ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ ,,გაათხოვონ'' და თავიდან მოიშორონ ის. სწორედ მამაკაცთა არჩევანზე, მათ ნება-სურვილზეა დამოკიდებული ქალის ბედიც (მეგრელიძე, 1915).

,,ჩვენს ხალხს უყვარს ,,განწმენდილი'' ოჯახი. ე.ი. რაც მას ეკუთვნის: ცოლი, ძროხა და ხარი. და კიდევ წვრილი შვილები'' (მეგრელიძე, 1915).

მეგრელიძეს ქალის საკუთრებად აღქმის პრობლემის ანალიზში შემოჰყავს სოციალური კლასი, როგორც მნიშვნელოვანი კატეგორია. იგი თვლის, რომ ქალის, როგორც საკუთრების აღქმას წვრილ მესაკუთრეთა ოჯახებში ის ფაქტი ამძაფრებდა, რომ ქალი ქმარზე ეკონომიკურად დამოკიდებული იყო, რაც განასხვავებდა მას მუშის ოჯახში გაზრდილი ქალისგან. ამ უკანასკნელში, მეგრელიძის აზრით, ქალის დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალი იყო. მუშას ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულება არ ჰქონდა. ამას კი იგი პირდაპირ უკავშირებს მუშის ცხოვრების წესს, მის შეხედულებებს კერძო საკუთრებაზე. მეგრელიძის აზრით, მუშა გათავისუფლებულია კერძო საკუთრების ფლობის სურვილისაგან, მის მიმართ ინტერესის ქონისგან. შესაბამისად, მას, წვრილი მესაკუთრისაგან განსხვავებით, არანაირი მისწრაფება არ აქვს, რომ ფლობდეს მეუღლეს, როგორც თავის საკუთრებას. ამის საპირისპიროდ კი, ურჩევნია, რომ მისი ცოლი დამოუკიდებელი იყოს და მასთან თანაბარი უფლებებით სარგებლობდეს:

,,მისი მეუღლე იმავე კერძო და მოქალაქობრივი უფლებით უნდა იყოს აღჭურვილი, როგორითაც თვითონ არის. ის უნდა იყოს შეგნებული და გამოსადეგი კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთი სიტყვით ამხანაგი, რომელსაც შეუძლია, თუ საჭიროება მოითხოვს, მის დამოუკიდებლადაც იცხოვროს'' (მეგრელიძე, 1915).

რაც შეეხება ქალისაგან, როგორც ზედმეტი ტვირთისაგან ოჯახის გათავისუფლებას (რასაც მეგრელიძე წვრილი მესაკუთრეების ოჯახების დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს), მუშის ოჯახში ძმა თუ მამა, მისი აზრით, ქალს, როგორც ობიექტს, არ აღიქვამენ, რომელიც მათი ნების მიხედვით, ხელიდან ხელში ნივთივით გადავა. ამის საწინააღმდეგოდ კი თვლის, რომ ძმასა და დას შორის დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალია, ისინი ურთიერთპატივისცემით ცხოვრობენ და განვითარებისთვის ერთმანეთს პირად სივრცეს უტოვებენ (მეგრელიძე, 1915).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიდია ამგვარი თანასწორი ოჯახის ,,იდეალურ ტიპს'' საქართველოს მაგალითზე არ განიხილავდა და აღნიშნავდა კიდევაც, რომ აქ მცხოვრები მუშები კერძო საკუთრების ,,ტყვეობისაგან'' ჯერ კიდევ ვერ იყვნენ ბოლომდე გათავისუფლებულნი (მეგრელიძე, 2015). ქალის, როგორც საკუთრების შესახებ აქცენტები ასევე დასმულია ლიდია მეგრელიძის მოხსენებაში, რომელიც მან წარმოთქვა მწერალთა კავშირში მწერალ კონსტანტინე კაპანელის ახალგამოცემულ წიგნთან დაკავშირებით. მოხსენებაში მეგრელიძე აკრიტიკებს კაპანელს იმ ბრალდებების გამო, რომელიც მან ქართველი ქალების წინააღმდეგ გამოთქვა თავის ახალ წიგნში და იგი კაპანელის შეცდომის

დასამტკიცებლად ქალთა დაქვემდებარებულ მდგომარეობას, მის მიზეზებს ხსნის (მეგრელიძე, უთარიღო).

აქ მეგრელიძე უფრო უღრმავდება ქალის, როგორც საკუთრების აღქმის პრობლემას და ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ ქალი საკუთრებად კონკრეტული ისტორიული პროცესების შედეგად იქნა აღქმული. მეცხრამეტე საუკუნეს, ,,წვრილი მესაკუთრეობის განვითარების ხანას'', მეგრელიძე უწოდებს პერიოდს, რომელიც ქალის ჩაგვრის, მის მიმართ დამამცირებელი მოპყრობის ყველაზე უფრო თვალსაჩინო და გამორჩეული მონაკვეთია სხვა ისტორიულ ეპოქებთან შედარებით. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამ, მეგრელიძის აზრით, სქესთა შორის ურთიერთობებისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიტანა (მეგრელიძე, უთარიღო). კერძოდ, ბატონყმობიდან გათავისუფლებული გლეხი უკვე კერძო მესაკუთრე გახდა, მესაკუთრე იმ მიწისა, სადაც თანდათან ყველაფერს თავისი ადგილი მიეჩინა, მათ შორის-ცოლსაც, რომელიც აქამდე ქმრის ბატონობისაგან გათავისუფლებული იყო:

,,გუშინდელი ყმა ქალი, რომელიც თავისივე მსგავს მამაკაცთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ეზიდებოდა ცხოვრების მძიმე უღელს, დღეს ბატონ-ყმობის გაუქმებამ როდი გაანთავისუფლა ის, პირიქით მას ახალი ბატონი მიუჩინა.''

ამდენად, ბატონყმობის გაუქმება სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ საზოგადოების ყველა ჯგუფი გათავისუფლდა მისი ბორკილებისაგან. ბატონყმობის მოდელმა ქალებსა და კაცებს შორის ურთიერთობებში გადმოინაცვლა, ახალ გალიაში გამოამწყვდია ქალი და თანამოაზრის გარეშე, მარტო დატოვა იგი. კერძო საკუთრების ხანაში (მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან) არსებული მონოგამიური ოჯახი, მეგრელიძის აზრით, ,,სქესობრივი მონობის საფუძველზე'' არის დაშენებული. ამის საილუსტრაციოდ კი იმ პერიოდში შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები მოჰყავს. კერძოდ, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები ,,არშიყნი'' და ,,უცნაური სენი'', რომლებშიც ქალი წარმოდგენილია, როგორც მამაკაცის, ქმრის მონა და საკუთრება (მეგრელიძე, უთარიღო). როგორც მეგრელიძის სიტყვებიდან ჩანს, აღნიშნული მოთხრობებიც კარგად ასახავდა იმ ზოგად კონტექსტს, რომელიც საქართველოში ქალის, როგორც საკუთრების გაგებასთან დაკავშირებით არსებობდა.

რაში გამოიხატებოდა ის, რომ ქალი ოჯახში კაცის საკუთრებად იყო აღქმული? ეს კარგად ჩანს მეგრელიძის მიერ მოხმობილ შედარებაში, როდესაც იგი ცოლის მიმართ ქმრის დამოკიდებულებას ადარებს ზოგადად საკუთრების მიმართ გლეხის დამოკიდებულებას. თუკი მესაკუთრის ყოველგვარი ქმედება გათვლილი და გაზომილი იყო იმისდა მიხედვით, მისცემდა თუ არა დიდ სარგებელს მას ეს ყოველივე, ქალიც სწორედ ისეთი სჭირდებოდა, რომელსაც ბოლომდე გამოიყენებდა პირადი მიზნებისათვის, ოჯახის სასარგებლოდ. ,,გლეხი ეძებს ქალს ისეთს, რომელიც მის ოჯახს გამოადგება. კარგ მეოჯახეს, კარგ მორჩილს.'' - აღნიშნავს მეგრელიძე.

ამდენად, მეგრელიძე ქალის საკუთრებად აღქმას კერძო საკუთრების გაჩენას უკავშირებს. მისი თვალსაზრისით, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, წვრილ მესაკუთრეებში გაჩნდა სურვილი იმ

ყველაფერის ფლობისა, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ, ამის პარალელურად დაიწყო ცოლის, როგორც საკუთრების აღქმაც. ეს იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ამ შემთხვევაში, ლიდია მეგრელიძე ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობას მარქსისტული იდეოლოგიით ხსნის, რომლის შესაძლო გავლენაც აშკარად იგრძნობა მის ანალიზში. მარქსი და ენგელსი კერძო საკუთრებაზე საუბრის დროს აღნიშნავენ, რომ საკუთრების პირველი ფორმა ოჯახის სტრუქტურაში დევს, სადაც ცოლი და შვილები ქმრის მონები არიან (მაკეხრანი). შესაძლოა, ვისაუბროთ გავლენებზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ლიდია კარგად იცნობდა იმდროინდელ საზოგადოებაში არსებულ უთანასწორობებს, რომელიც ქალების მიმართ მჩაგვრელი ხასიათისა იყო. ამ უთანასწორობის პირობებში, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი ქალები განსხვავებული სიმძაფრით განიცდიდნენ ჩაგვრას. მეგრელიძე კრიტიკულად უყურებდა ოჯახში ქალის, როგორც ღირებულებისგან დაცლილი ინდივიდის აღქმას, რაც განსაკუთრებით მძაფრად ჩანდა წვრილი მესაკუთრეების ოჯახებში.

ქალი, როგორც საკუთრება: კატო მიქელაძის პერსპექტივიდან

კატო მიქელაძემ ასევე მნიშვნელოვანი აქცენტები დასვა ქალის საკუთრებად აღქმის პრობლემასთან დაკავშირებით. ფემინისტმა მოაზროვნემ თავისი საზოგადოებრივი საქმიანობა მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიწყო და ქალთა უფლებების დაცვას მან მთელი ცხოვრება მიუძღვნა. პარიზში ყოფნისას, როგორც თავად აღნიშნავს, გაეცნო ქალთა სოციალურ-პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლის ისტორიას, ხოლო ბრიუსელში სწავლის დროს კი შეისწავლა ფემინისტური და მარქსისტული იდეოლოგიები (მელაშვილი 2013,14). მიქელაძის მრავალმხრივ და საინტერესო ბიოგრაფიაში ერთ-ერთი გამორჩეული ეტაპი 1917 წელის თებერვალში დადგა, როდესაც მისი რედაქტორობით გამოიცა ფემინისტური გაზეთი ,,ხმა ქართველი ქალისა''.

მიქელაძე თავის პუბლიცისტიკაში, რომელიც გაზეთში იბეჭდებოდა, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, როგორიცაა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის აუცილებლობა, ტრეფიკინგი, ქალის როლი ოჯახში, პროსტიტუცია, ქალთა განათლების უფლება**.** კატო მიქელაძის პუბლიცისტიკაში, ქალის, როგორც საკუთრების იდეის კრიტიკას ასევე დიდი ადგილი უკავია. მეგრელიძისა და მიქელაძის ნააზრევი ერთმანეთს შინაარსობრივად ავსებს. მიქელაძის ანალიზში ქალის, როგორც საკუთრების იდეის გარშემო მსჯელობას ემატება ქალის სექსუალობა, როგორც ანალიზისთვის მნიშვნელოვანი კატეგორია.

მიქელაძე საუბრობს იმაზე, რომ ქალებისათვის მორჩილი, ნაზი, პასიური არსების თვისებების მიწერა და ქალის უნივერსალურ მახასიათებლებად გამოცხადებამ იგი მამაკაცის ტყვეობაში მოაქცია და მისი სურვილების მონად აქცია (მიქელაძე, 1917). პატრიარქალურ სისტემაში სქესობრივი კავშირიც მამაკაცის ინიციატივებზე იყო აგებული. თუკი ქალი ვერ დააკმაყოფილებდა მის სურვილებს, იგი მაშინვე სახლიდან გაგდებისთვის იყო განწირული. იმის საილუსტრაციოდ, რომ ქალები კაცის სექსუალურ საკუთრებას წარმოადგენენ, მიქელაძეს

მოჰყავს მაგალითი, როდესაც სახლში გვიან დაბრუნებული, მთვრალი ქმარი ცოლს შუაღამისას აიძულებს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას (მიქელაძე, 1917). ქალის, როგორც მამაკაცის სექსუალური საკუთრების იდეა კარგად გამოიხატება მოტაცების პრაქტიკაშიც, რომელსაც მიქელაძე აღწერს წერილში ,,ქართველ ქალებს სცემენ და აუპატიურებენ''. აღნიშნულ წერილში იგი გატაცების კონკრეტულ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ქუთაისის სოფლებში მოხდა. მსგავსი დანაშაულის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადს იგი საზოგადოებაში ნაკლები გავლენის მქონე ქალებს მიიჩნევდა, ანუ მათ, ვინც დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი იყო, ვისაც არ ჰყავდა გავლენიანი ნათესავები, ახლობლები. ამავდროულად, ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობა, მისი აზრით, დანაშაულად არც კი განიხილებოდა და შესაბამისად, დაუსჯელი რჩებოდა:

,,უბრალო ჯიბგირები, ქურდები დასაჯეს, დასაჯეს სასტიკათ და ასეთი ძალადობა ადამიანის სულზე და ხორცზე დღემდე არავითარ სასჯელს არ იწვევს და სრულიად გულ გრილათ ხვდებიან მას'' (მიქელაძე, 1917).

მამაკაცის მიერ ქალის ფლობის, მისი საკუთრებად გადაქცევის ანალიზის პროცესში კატო მიქელაძეს ქალის მოტაცების პრაქტიკის გარდა ასევე მოჰყავს ტრეფიკინგის, ქალებით ვაჭრობის შესახებ არსებული ცნობები. იგი აღნიშნავს, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ კაცების გაყიდვაც თანდათან შეწყდა, ქალებით ვაჭრობა ისევ და ისევ გრძელდებოდა. განსაკუთრებით კი ის ქალები აღმოჩნდებოდნენ მსხვერპლნი, რომლებიც მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობდნენ და ცდილობდნენ, რომ საკუთარი მუშაობით სიღარიბისაგან დაეხსნათ თავი, ან შეემსუბუქებინათ თავისი, თუ ახლობლების მძიმე ყოფა. ტრეფიკინგში ჩასაბმელად, მიქელაძის თქმით, საქართველოდან, კერძოდ კი, ბათუმიდან და ფოთიდან სტამბოლში გადაჰყავდათ ქალები (მიქელაძე, 1917). ამდენად, მიქელაძე მიიჩნევს, რომ ქალის საკუთრებად აღქმა მამაკაცის მიერ ასევე გულისხმობს მასზე სექსუალური ძალაუფლების ფლობასაც.

მიქელაძეც, მეგრელიძის მსგავსად, მიიჩნევს, რომ ქორწინება კაცის საკუთრებად აქცევდა ქალს. ეს ყოველივე კი სასაუბრო ენაშიც აირეკლებოდა:

,,დღევანდელს ქართველს ,,ჩემი ცოლის'' თქმა უფრო ეხერხება, ვიდრე ,,ჩემი მეუღლის'', რადგან მეუღლეობა ნიშნავს ორ ადამიანთა სრულ თანასწორობას, როგორც ორი ხარი, რომელიც ერთს უღელსა სწევენ, მაშინ, როდესაც სიტყვა ,,ცოლი'' გამომხატველია მხოლოდ შინაურ, ოჯახური განწყობილებისა და კავშირისა'' (მიქელაძე, 1917*).*

ამ შემთხვევაში ქალის, როგორც საკუთრებისა და ქალის გასაგნების იდეა ერთმანეთს გადაკვეთს. ქალის გასაგნების იდეაში ქალი წარმოდგენილია, როგორც გარკვეული ღირებულების მქონე საგანი (ირიგარი 1985, 175). სწორედ ამის საპირისპიროდ, ქალი, მიქელაძის აზრით, რაიმე მიზნის მისაღწევის საშუალებად არ უნდა იყოს გამოყენებული, არამედ ის თავადვე უნდა წარმოადგენდეს თვითმიზანს (მიქელაძე, 1917).

რომელი ისტორიული პროცესების პროდუქტია ქალის საკუთრებად აღქმა? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მიქელაძე, მეგრელიძის მსგავსად, ისტორიული ანალიზს მიმართავს. იგი ქალის თავისუფლების შეზღუდვას, უფრო მეტიც, მამაკაცის საკუთრებად ქცევას უფრო გლობალურად, კერძოდ, აზიის მაგალითზე განიხილავს, რამდენადაც აზიას განათლების, ცივილიზაციის განვითარების სათავედ მიიჩნევს. იმ დრომდე (თუმცა, მიქელაძე არ ასახელებს კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს), ვიდრე გაიზრდებოდა აზიის მოსახლეობა, დაიწყებოდა შეიარაღებული ბრძოლები სხვა ქვეყნების დაპყრობის მიზნით, ქალებიც კაცების თანასწორად ითვლებოდნენ. ხოლო აღნიშნული ცვლილებების შემდეგ გაჩნდა დომინაციის სურვილი, შესაბამისად, ტრანსფორმაცია განიცადა საზოგადოებაში ქალის როლმაც. მისი საკუთრებად აღქმა ისეთ რადიკალურ ფორმებშიც გამოიხატა, როგორიცაა მოკვლა, გაყიდვა ან გაჩუქება. მიქელაძე პირდაპირ მიუთითებს პატრიარქალური სისტემის დაუნდობლობაზე, სადაც, მისი აზრით, ქალი გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით განაგრძობს არსებობას. იგი ანალიზის პროცესში აზიის მაგალითს ევროპულ, დასავლურ გამოცდილებას ადარებს და აღნიშნავს, რომ თუკი სახელმწიფოს გაჩენამდე ქალი არ ითვლებოდა კაცის საკუთრებად, არამედ - მისი თანასწორი იყო, სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ საფუძველი დაუდო პატრიარქატს (მიქელაძე, 1917).

თუკი მეგრელიძე ქალის საკუთრებად აღქმის სათავედ მე-19 საუკუნეს და მონოგამიურ ოჯახს ასახელებს, მიქელაძე აღნიშნული პრობლემის ათვლის წერტილად უფრო ადრეულ პერიოდს განიხილავს. კერძოდ, პოლიგამიურ ოჯახს, სადაც შვილები მამის საკუთრებას წარმოადგენდნენ (მიქელაძე, 1917). თუმცა, მთავარ მამოძრავებელ ძალად მიქელაძე საკუთრების ფლობის მიმართ პატრიარქალურ საზოგადოების სურვილის გაღვიძებას განიხილავს. ქალის ქმრის საკუთრებად აღქმა, მიქელაძის აზრით, მნიშვნელოვნად უკავშირდება მილიტარიზმის განვითარებასა და ფიზიკური ძალის დემონსტრირებას მამაკაცების მიერ (მიქელაძე, 1917). მიქელაძე ქალის, როგორც მამაკაცის საკუთრებად ქცევის პრობლემას შეიარაღებულ ბრძოლებს, საკუთრებისაკენ მისწრაფებას, ასევე განათლების დაბალ დონეს უკავშირებს. ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალის გაყიდვისა და მასზე დომინირების მიზეზი ეკონომიკურ დამოკიდებულებაა (მიქელაძე, 1917).

ლიდია მეგრელიძისა და კატო მიქელაძის ანალიზის ძირითადი აქცენტების შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ მაშინ, როდესაც მეგრელიძე ქალის, როგორც მამაკაცის საკუთრების იდეას განიხილავდა ოჯახში ქალის როლის საკითხთან მიმართებით (ცოლი, როგორც ქმრის საკუთრება), მიქელაძე საკუთრებად ქალის აღიარებას ასევე ქალის სექსუალობასთან კავშირში აანალიზებდა. მეგრელიძე ქალის საკუთრებად გადაქცევის სათავედ მონოგამიურ ოჯახს ასახელებს, რომელშიც კერძო საკუთრების და ასევე ცოლის დაქვემდებარების, მისი საკუთრებად ქცევის სურვილი ერთმანეთზე გადაჯაჭვულია. თუმცა, მხოლოდ ფლობა საკმარისი არ არის. საჭიროა მისი ბოლომდე გამოყენება და მისგან სარგებლის მიღება, როგორც ეს ხდებოდა, მეგრელიძის აზრით, გლეხის შემთხვევაში. კატო მიქელაძე, მეგრელიძის მსგავსად, პრობლემას ისტორიულ ჭრილში აანალიზებს, თუმცა, იგი ქალის საკუთრებად ქცევის სათავედ უფრო ადრეულ პერიოდს განიხილავს. მიუხედავად ამისა, პრობლემის საწყისად ისიც კერძო საკუთრების ფლობის სურვილს ასახელებს. კატო

მიქელაძის ანალიზში შემოდის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც ქალის სექსუალობაა. იგი თვლის, რომ ქმარი, რომელიც ქალს საკუთრებად მიიჩნევს, ცოლს აიძულებს სქესობრივი კავშირის დამყარებას მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. როგორც მიქელაძე, ისე მეგრელიძე თვლიდნენ, რომ ქალის ჩაგვრის ერთ-ერთი წყარო მისი ეკონომიკური დამოუკიდებულების არქონა იყო. სწორედ ამიტომ აღნიშნავდა მეგრელიძე, რომ მუშის ოჯახში, სადაც ქალი და კაცი თანაბრად შრომობდნენ, მას არ სჭირდებოდა, რომ ეკონომიკურად მამაკაცზე დამოკიდებული ყოფილიყო, რაც მათ შორის თანასწორობას განაპირობებდა.

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ვიმსჯელოთ იმ გავლენებზე, რომელიც ორივე ფემინისტის ნააზრევზე იქონია მარქსისტულმა იდეოლოგიამ, ასევე დასავლურმა ფემინისტურმა იდეებმა, აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ქართველი ფემინისტები ანალიზისას კონკრეტულ, ლოკალურ ჩაგვრაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. შესაბამისად, ეს დამატებით ღირებულებას მატებს მათ მსჯელობასა და იმ წვლილს, რომელიც შეიტანეს ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის საქმეში. ეს მიდგომები, რომლებსაც მეგრელიძე და მიქელაძე გვთავაზობენ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ ფემინისტური ნააზრევისთვის, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ვითარდებოდა საქართველოში და არანაკლებ საჭიროა დღეს ახალი ცოდნის წარმოების მიმართულებით. ქალთა არქივებზე მუშაობა ისტორიის გადააზრებისა და მასში ქალთა ხმების დაბრუნებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ამ სტატიით სწორედ ფსკერზე დალექილი იმ ზოგიერთი ნაწილის მოპოვებას ვეცადე, რომელიც ისტორიაში ქალების პერსპექტივების აღდგენაში შეიძლება დაგვეხმაროს.

გამოყენებული ლიტერატურა

- გაფრინდაშვილი, ლ. (2014). ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირიდან ცენტრისაკენ. (გვ. 27-53).

- მარუაშვილი, ქ. (1917 #6). ამხანაგ ქალებს. ხმა ქართველი ქალისა, გვ.1-2.

- მელაშვილი, თ. (2013). კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები. თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.

- მეგრელიძე, ლ. (1915 #12). მშრომელ ქალთა მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში. „ახალი კვალი“.

- მეგრელიძე, ლ.(1915 #5). ქართველ ქალთა მდგომარეობა საქართველოში. „ახალი კვალი“.

- მეგრელიძე, ლ.(1915 #8). მშრომელ ქალთა მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში. „ახალი კვალი“.

- მეგრელიძე, ლ. (1915 #11). მშრომელ ქალთა მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში. „ახალი კვალი“.

- მეგრელიძე, ლ. (თარიღი უცნობია), ქართველი ქალი ცხოვრებაში და ლიტერატურაში,გ.ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, ლიდია მეგრელიძის არქივი, #24070.

- მიქელაძე, კ. (1917 #27). ქალი და დამფუძნებელი კრება. ხმა ქართველი ქალისა, გვ.2.

- მიქელაძე, კ. (1917 #2). ქართველი ქალი დღევანდელს ოჯახში, გვ.1.

- მიქელაძე, კ. (1917 #12). ქართველ ქალებს სცემენ და აუპატიურებენ, გვ.1.

- მიქელაძე, კ. (1917 #17). ქალებით ვაჭრობა, გვ.4.

- მიქელაძე, გ. (1917 #2). ქართველი ქალი დღევანდელს ოჯახში. გვ.1.

- მიქელაძე, კ. (1917 #4). ქ.ქუთაისის ქალებს. გვ.1.

- მიქელაძე, კ. (1917 #10). დედრობითი სქესის შემოქმედება.

- მიქელაძე, კ. (1917 #17-31). მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა

- ტყეშელაშვილი, ნ. (1922). კავკასიელ ქალთა ბრძოლა სწორუფლებისთვის რევოლუციონურ კულტურულ ფრონტზე. # 9503-6.

- Irigary, L. (1985). This sex which is not one (Porter C. Trans). New York: Ithaka. (Original work published in 1977).

- McEachran, A. Marx & Engels: The German Ideology.
- Tylor, Mill, H. (1868). Enfranchisement of women. London: Trubner and Co.
- The Laws of Manu (Georg Buhler Trans). http://www.sacred-texts.com/hin/manu. გადამოწმებულია 28.01.2018.